



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 316

ქალაქი ქუთაისი 26 ოქტომბერი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის
უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 03.10.2016 წლის N6/50986 და საქართველოს მთავარი პროკურატურის 15.09.2016 წლის N13/59876 მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. საქართველოს მთავარი პროკურატურის 15.09.2016 წლის N13/59879 შემაჯამებელი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში (დაზარალებულ პირთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზებისათვის) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება: 1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირის N19 (ნაკვეთი N2-4)-ში მდებარე უძრავი ქონება /მიწის ფართობი: 6456.0 კვ.მ. საკადასტრო კოდი N03.05.24.057/; 2. სულხან – საბას გამზირის N19 (ნაკვეთი N2-2)-ში მდებარე უძრავი ქონება (ფართობი: 778.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის N03.05.24.055).

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი